ინფორმაცია

„საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის, 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ“ საქართველოს მთავრობის მოხსენებასა და „ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2026-2029 წლებისათვის“ დოკუმენტის გადამუშავებულ ვარიანტებზე საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის რეკომენდაციების გათვალისწინების შესაძლებლობის შესახებ

№	**რეკომენდაცია**	**რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა**
1	ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარებისა და ფისკალური სტაბილურობის უზრუნველსაყოფად ტრადიციულად მნიშვნელოვანი და აუცილებელია ევროპის მაასტრიხტის ხელშეკრულებითა და „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი მაკროეკონომიკური პარამეტრებისა და ფისკალური მაჩვენებლების, მათ შორის, ბიუჯეტის დეფიციტისა და მთავრობის ვალის მშპ-ს მიმართ პროცენტული თანაფარდობების დაცვა.	**გათვალისწინებულია** პროექტის საბოლოო ვარიანტის მიხედვით მთავრობის ვალის მოცულობა მშპ-ს 35%-ზე ნაკლებია, ხოლო ბიუჯეტის დეფიციტის მოცულობა მშპ-ს 2,5%-ს უტოლდება.
2	მიმდინარე წლის 8 თვის მდგომარეობით რეალური ეკონომიკური ზრდის საშუალო მაჩვენებელი დაფიქსირდა 7.9%-ის დონეზე, რაც მოსალოდნელ წლიურ მაჩვენებელზე - 6%-ზე, თითქმის 2 პროცენტული პუნქტით მეტია. ამასთან, დეფლატორის მოსალოდნელი მაჩვენებელი განსაზღვრულია 3.9%-ის დონეზე, რაც იმას ნიშნავს, რომ მიმდინარე წლის ნომინალური მშპ მოსალოდნელთან შედარებით მეტი იქნება. შესაბამისად, გაიზრდება, ასევე, პროგნოზირებულთან შედარებით 2026 წლის ეკონომიკური ბაზაც, რომლის პირობებში შესაძლებელი იქნება ბიუჯეტის პროექტით წარმოდგენილ საპროგნოზო მაჩვენებლებთან შედარებით შემოსავლების სახით დამატებითი ფულადი სახსრების მიღება;	**გათვალისწინებულია** განახლებული პროგნოზის მიხედვით 2025 წლის რეალური ეკონომიკური ზრდის პროგნოზი 7,2%-ს შეადგენს, ხოლო მთლიანი შიდა პროდუქტის დეფლატორის მაჩვენებელი 4,7%-ია. გარდა ამისა აღსანიშნავია, რომ სტატისტიკის სამსახურის მიერ დაზუსტდა 2024 წლის მთლიანი შიდა პროდუქტის ნომინალური მაჩვენებელი, რომლის მოცულობამ 93 მილიარდ ლარს გადააჭარბა. ზემოარნიშNულის გათვალისწინებით გადაიხედა 2025-2026 წლების ნომინალური სიდა პროდუქტის მოცულობებიც და შესაბამისად შეადგინა 104,4 და 114,1 მილიარდი ლარი. რაც შეეხება 2026 წლის შემოსავლებს, პროექტის წინა ვერსიასთან შედარებით ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები გაზრდილია 472 მლნ

№	რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
		ლარით და 29,7 მილიარდ ლარს აჭარბებს, მათ შორის საგადასახადო შემოსავლები გაზრდილია 240 მლნ ლარით.
3	საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტის წარმოდგენილ ვერსიაში არ არის გათვალისწინებული შესაბამისი თანხები „შინაურ ბინადარ ცხოველთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ღონისძიებების განსახორციელებლად;	**გათვალისწინებულია** პროექტის საბოლოო ვარიანტში ამ მიმართულებით გათვალისწინებულია 20 მლნ ლარი.
4	მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის, სახელმწიფო აუდიტის სამსახურისა და საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ბიუჯეტების პროექტების საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებისას არ იყო გათვალისწინებული საჯარო სამსახურში ხელფასის 10%-ით ზრდა. ფინანსთა სამინისტროს მიერ აღნიშნულ ორგანიზაციებთან შესაბამისი კოორდინაციით განისაზღვროს ხელფასის 10%-იანი მატება და მოხდეს შესაბამისი თანხის ბიუჯეტში ასახვა;	**გათვალისწინებულია** შესაბამის უწყებებთან კონსულტაციებით დაკორექტირდა 2026 წლის ასიგნებების როგორც მთლიანი მოცულობები, ასევე განხორციელდა საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებს შორის ცვლილებები. გარდა ამისა, საქართველოს პარლამენტში ინიცირებული საკანონმდებლო ცვლილებების შესაბამისად, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ასიგნებებში ასახულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის და ანტიკორუფციული ბიუროს ფუნქციების განსახორციელებლად საჭირო თანხები.
	კომიტეტი დადებითად აფასებს წყალმომარაგების პროგრამის დაფინანსების კვლავ გაზრდას. ამასთან, სასურველია „საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებების“ პროგრამის დაფინანსების ოდენობა შესაძლებლობის ფარგლებში მომავალშიც შენარჩუნდეს. მიუხედავად რიკოთის უღელტეხილის დასრულებისა, რჩება სხვა არანაკლებ მნიშვნელოვანი გზების მშენებლობის საჭიროება;	**გათვალისწინებულია** საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით ბიუჯეტის საბოლოო ვარიანტში ასიგნებები გაიზარდა 120 მლნ ლარზე მეტად. გამოყოფილი თანხის ფარგლებში გათვალისწინებულია ბათუმი-სარფის მონაკვეთის და თბილისის შემოვლითი გზის მშენებლობის დაწყება.
	„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი“ რჩება 760 მლნ ლარის ოდენობით, რომლის ფარგლებში გათვალისწინებულია, ასევე, თანხები სტიქიით გამოწვეული ზარალის სალიკვიდაციოდ. მიზანშეწონილია,	**გათვალისწინებულია** ფონდის მოცულობა შენარჩუნებულია იმავე დონეზე, თუმცა 2026 წლის ბიუჯეტთან ერთად საქართველოს პარლამენტში

№	რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
	შესაძლებლობის ფარგლებში „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის“ ოდენობის გაზრდა;	წარმოდგენილია ცვლილებები 2025 წლის ბიუჯეტში, რომლის მიხედვით ფონდის მოცულობა გაზრდილია 115 მლნ ლარით. აღნიშნულის ფარგლებშიც დაფინანსდება მრავალწლიანი პროექტებიდან მიმდინარე წელს ფაქტიურად შესრულებული სამუშაოები, რაც 2026 წელს გამოათავისუფლებს რესურსს ახალი პროექტების დასაწყებად.
	ქვეყნის წინაშე არსებული საფრთხეებისა და გამოწვევების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, გაგრძელდეს მსჯელობა თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორში შემავალი უწყებებისათვის 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებული საბიუჯეტო ასიგნებების გაზრდაზე;	**გათვალისწინებულია** პროექტის წინა ვერსიასთან შედარებით: • თავდაცვის სამინისტროს ასიგნებები გაზრდილია 90 მლნ ლარით და შეადგენს 1 890 მლნ ლარს; • შსს-ს ასიგნებები გაზრდილია 74 მლნ ლარით და შეადგენს 1 547 მლნ ლარს; • სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ასიგნებები გაზრდილია 115 მლნ ლარით და შეადგენს 380 მლნ ლარს.
	მიზანშეწონილია, შესაძლებლობის ფარგლებში ვეტერანთა მატერიალურ-სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით გადაიხედოს სოციალური გასაცემლის ოდენობა, ასევე, ვეტერანთა მატერიალურ-სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით გაეზარდოს დაფინანსება სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურს;	**გათვალისწინებულია ნაწილობრივ** სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დაფინანსება გაზრდილია 1,3 მლნ ლარით.
	პროგრამის „სოციალური რეაბილიტაცია და ბავშვზე ზრუნვა“ 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებული დაფინანსება წინა წელთან შედარებით გაზრდილია 17 მლნ ლარით. რამდენადაც ყოველწლიურად მზარდია ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამის მიმართვიანობა, მიზანშეწონილია, აღნიშნულ პროგრამას დაემატოს თანხა შშმ პირთა, როგორც სოციალური, ასევე ფიზიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით;	**გათვალისწინებულია** პროექტის წინა ვერსიასთან შედარებით პროგრამის დაფინანსება გაზრდილია 12,5 მლნ ლარით და შეადგენს 124,5 მლნ ლარს.

№	რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
	მიზანშეწონილია, შესაძლებლობის ფარგლებში, გაიზარდოს ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსების ოდენობები, მათ შორის, განსაკუთრებით ნარკომანიით დაავადებულთა მკურნალობისა და უსაფრთხო სისხლის მიმართულებით	**გათვალისწინებულია** სამინისტროსთან კონსულტაციით პროექტის წინა ვერსიასთან შედარებით ჯანდაცვის პროგრამების დაფინანსება გაზრდილია 183,7 მლნ ლარით და 2 220 მლნ ლარს შეადგენს, მათ შორის მოსახლეობის საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა გაიზარდა 150 მლნ ლარით, ხოლო ნარკომანიით დაავადებულ პაციენტთა მკურნალობისთვის გამოყოფილი თანხები გაიზარდა 10 მლნ ლარით
	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს რეორგანიზაციის შედეგად, მნიშვნელოვნად გაიზარდა გარემოსდაცვითი ფუნქციები, ასევე, დაემატა არაერთი ახალი ვალდებულება. კადრების გადინების თავიდან ასაცილებლად, მიზანშეწონილია, შრომის ანაზღაურების საყოველთაო 10%-იანი ზრდის გარდა, გარემოს დაცვითი ფუნქციების მქონე უწყებებში დამატებით განხორციელდეს შრომის ანაზღაურების ზრდა;	**გათვალისწინებულია** სურსათის ეროვნულ სააგენტოს და გარემოსდაცვითი ფუნქციების მქონე უწყებებში გარდა 10%-იანი ზრდისა დამატებით განხორციელდა ხელფასების საშუალოდ 30%-ზე მეტით ზრდა.
	ბოლო წლების განმავლობაში აქტიურად შეინიშნება ტყის ფონდისა და დაცული ტერიტორიების მიღმა არსებული მერქნული საფარის ავადობისა და ხმობის ფაქტები. სხვადასხვა მუნიციპალიტეტის ტერიტორიებზე საჭიროა დაიგეგმოს სახელმწიფო დაფინანსების პროგრამის ტიპის ღონისძიება, რომლის ფარგლებშიც გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ მცენარეთა დაავადებებზე ჩატარებული ლაბორატორიულ კვლევების საფუძველზე მოხდება შესაბამისი ღონისძიებების აღსრულება მუნიციპალიტეტების მიერ. ამ მიმართულებით, მიზანშეწონილია, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ დაიწყოს მუშაობა მუნიციპალიტეტებთან	**გათვალისწინებულია ნაწილობრივ** ფიტოსანიტარიული ღონისძიებების განხორციელება ძირითადად მუნიციპალიტეტის კომპეტენციას წარმოადგენს და ამ ეტაპზე, ღონისძიებები ხორციელდება ინდივიდუალურად. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროდან მუნიციპალიტეტები ექსპერტული დახმარების გაწევას ითხოვენ. ეს დახმარება მოიცავს ენტომოლოგების ადგილზე გამოკვლევებს, ხოლო დაავადების გავრცელების დადასტურების შემთხვევაში, შესაბამისი ფიტოსანიტარიული ღონისძიებების გასატარებლად, ერთვება სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს მცენარეთა დაცვის დეპარტამენტი.

№	რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
	კოორდინაციით;	ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, მუნიციპალიტეტებთან მჭიდრო თანამშრომლობით, შემუშავდეს ერთიანი გეგმა, განისაზღვროს პრიორიტეტები და მათ საფუძველზე, მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებიდან დაფინანსებით, დაიგეგმოს ფიტოსანიტარიული ღონისძიებების განხორციელება.
	სოფლის მეურნეობის პროგრამების ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, საჭიროა გაუმჯობესდეს ამ პროგრამების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები. ამასთან, რესურსების ოპტიმიზაციის მიზნით მოხდეს მიმდინარე პროგრამების გადახედვა;	**გათვალისწინებულია** სოფლის მეურნეობის პროგრამების ეფექტიანობის გასაზრდელად მუშავდება ღონისძიებები, რომლებიც ძალაში 2026 წლის დასაწყისში შევა. ამჟამად მუშავდება პრიორიტეტული მიმართულებების ჩამონათვალი, ბენეფიციართა შერჩევის კრიტერიუმები და დაფინანსების პროცედურები. მიმდინარე ოპტიმიზაციის პროცესი ითვალისწინებს არსებული პროგრამების რაოდენობის შემცირებას და დაფინანსების კონსოლიდაციას უფრო მეტად შედეგის მომტანი დარგებისა და მიმართულებებისკენ, რაშიც მათ შორის მოიაზრება საექსპორტო პოტენციალის რეალიზაცია და სასურსათო უსაფრთხოების გაუმჯობესება. ბენეფიციარები თავიანთი ინდივიდუალური პროექტის მიმდინარეობის ყველა ეტაპზე დაექვემდებარებიან მკაცრი მონიტორინგის პროცედურებს. პროგრამათა განახლებული პაკეტის შესაფასებლად დაგეგმილია შეფასების, მათ შორის, დამოუკიდებელი მხარის მიერ შეფასების მექანიზმის ამოქმედება პროგრამათა განხორციელების პარალელურად.
	მიზანშეწონილია, რომ მომავალი წლის სასპორტო ღონისძიებების (ადგილობრივი და საერთაშორისო) აგრეთვე, სპორტული ფედერაციების (ორგანიზაციების) საბიუჯეტო განაცხადების ოპტიმიზაციის გათვალისწინებით გაიზარდოს სპორტის სამინისტროს დაფინანსება, მათ შორის, მასობრივი	**გათვალისწინებულია** პროექტის წინა ვერსიასთან შედარებით სპორტის სამინისტროს დაფინანსება (ძირითადად სპორტული ფედერაციების და საერთაშორისო ღონისძიებების ნაწილში) გაზრდილია 29,9 მლნ

№	რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
	და მაღალი მიღწევების სპორტის განვითარება და პოპულარიზაციისთვის გათვალისწინებული პროგრამების დაფინანსება;	ლარით და შეადგენს 325,3 მლნ ლარს.
	მიზანშეწონილია, ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებული ასიგნებები გაეზარდოს იმ საბიუჯეტო ორგანიზაციებს, რომლებიც ადამიანის უფლებათა დაცვის სამოქმედო გეგმის აღსრულებაზე არიან ძირითადი პასუხისმგებელნი, ხოლო კონკრეტული პარამეტრების დაზუსტების მიზნით გაგრძელდეს მუშაობა;	**გათვალისწინებულია** შესაბამის უწყებებთან კონსულტაციებით განხორციელდა როგორც ასიგნებების მთლიანი მოცულობის ზრდა, ასევე საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებს შორის ასიგნებების გადანაწილება.
	კვლავ აქტუალური რჩება ბიუჯეტის პროგრამული ფორმატის შემდგომი დახვეწისა და გაუმჯობესების საჭიროება. მნიშვნელოვანია, საქართველოს მთავრობამ გააქტიუროს მუშაობა მხარჯავ დაწესებულებებთან პროგრამული ფორმატით ბიუჯეტის დაგეგმვის სრულყოფის მიმართულებით;	მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს მუშაობა პროგრამული ბიუჯეტის დახვეწის მიმართულებით. საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2023-2026 წლების სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის ფარგლებში ხორციელდება შესაბამისი ღონისძიებები პროგრამული ბიუჯეტის შემდგომი გაუმჯობესების მიმართულებით (მათ შორის, ტარდება სამუშაო შეხვედრები და ტრენინგები სამინისტროებთან).
	მიზანშეწონილია, პროგრამებისა თუ ქვეპროგრამების ასიგნებების განსაზღვრის პროცესში გათვალისწინებულ იქნეს გასული და მიმდინარე წლების შესრულების ტენდენციებიც, რათა დასაგეგმი საბიუჯეტო წლისთვის უზრუნველყოფილ იქნეს საბიუჯეტო სახსრების ეფექტიანი გამოყენება და დაგეგმილი ასიგნებების სრულად ათვისება;	**გათვალისწინებულია** ბიუჯეტის პროექტის საბოლოო ვარიანტში ასიგნებები დაკორექტირდა მიმდინარე წლის ათვისების და განახლებული პროგნოზების გათვალისწინებით.
	„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით“ 2028 წლიდან ნაერთი ბიუჯეტის ფუნქციონალური კლასიფიკაციით განსაზღვრული განათლების სფეროს დაფინანსების მოცულობა უნდა იყოს ნომინალური მშპ-ს არანაკლებ 6%-ისა. ეს საკითხი საჭიროებს გადახედვას, რამდენადაც ნაკლებ შესაძლებელი იქნება შესაბამისი თანხების გათვალისწინება და ეფექტიანი ათვისება;	ამ მიმართულებით მომდევნო წლებში იქნება აქტიური მუშაობა. საქართველოს მთავრობის ინიციატივით განათლების მიმართულებით დაგეგმილია მნიშნველოვანი რეფორმები, რაც თავის მხრივ მოითხოვს დაფინანსების ზრდას. შესაბამისად დაფინანსების მოცულობა პირდაპირ დაუკავშირდება რეფორმით დაგეგმილი შედეგების მიღწევას.

№	რეკომენდაცია	რეკომენდაციის გათვალისწინების შესაძლებლობა
	საშუალოვადიანი პერიოდის განმავლობაში კაპიტალური ხარჯების მოცულობა მშპ-სთან მიმართებით შემცირების ტენდენციით ხასიათდება. მნიშვნელოვანია, კაპიტალური დანახარჯების სტაბილური დონის განსაზღვრა და შენარჩუნება, რაც არსებით გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე;	**გათვალისწინებულია ნაწილობრივ** პროექტის წინა ვერსიასთან შედარებით კაპიტალური ხარჯების მოცულობა გაზრდილია 400 მლნ ლარზე მეტით, თუმცა მომდევნო წლებში მისი შენარჩუნება იმავე დონეზე (მშპ-სთან მიმართებაში) გამოწვევას წარმოადგენს, შესაბამისად მომდევნო წლებში ამ მიმართულებით საჭირო იქნება დამატებითი რესურსების მოძიება.